პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ოქტომბერი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 234 (14838)

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე და სსრ კავშირის ორგზის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, გენერალ-მაიორი გ. ტ. ბერეგოვოი. ფოტო ო. ლუკიანცევისა.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ტ. ბერეგოვოი

6 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი გ. ტ. ბერეგოვოი.

მათ მეგობრულად ისაუბრეს საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, იმ კოსმოსური ხომალდების შემქმნელების მიღწევებზე, რომლებიც წარმატებით სერავენ სამყაროს სივრცეებს.

გ. ტ. ბერეგოვოიმ დიდი ინტერესით მოისმინა, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, როგორ ემზადებიან მშრომელები სკკპ XXIV ყრილობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გ. ტ. ბერეგოვოის უსურვა ახალი წარმატებანი კოსმოსური სივრცის დაპყრობაში, ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

გ. ტ. ბერეგოვოიმ მხურვალე მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები შ. ი. ჰანუშვაძე, ნ. შ. ცხაკაია, ო. ი. ლოლაშვილი და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანდრონიკაშვილი. (საქდესი).

ადამიანი და ტყე

შენ გენაცვალე, ტყეო დაბურულო,
ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო!

ვაჟა

ბენიალური ვაჟას ჭეშმარიტად დიდი და მგრძნობიარე გულის მხურვალე სიყვარულია ჩაქსოვილი ამ სტრიქონებში.

მართლაც რომ განუზომლად ძლიერია ადამიანის სიყვარული ბუნებისადმი, ტყისადმი, მცენარისადმი. კაცობრიობის ყველა თაობა უმღეროდა, ეფერებოდა, ელოლიავებოდა ტყეს. იგი მუდამ იყო ადამიანის მფარველიც და მასაზრდოებელიც. ტყე მთაადგრნებდა ადამიანს, და ისიც ქმნიდა მასზე სიმღერებს, ლექსებს, ზღაპრებს, ლეგენდებს.

ტყე პოეტებისა და პროზაიკოსების უშრეტი თემა იყო ყოველთვის. უტყეოდ ხომ წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა პლანეტაზე. და ამიტომაც ყველა დროის ადამიანის მუდმივი საზრუნავი იყო ტყე.

მაგრამ ისეთი ფართო მასშტაბის, გეგმაზომიერი, მეცნიერული, მიდგომა ტყეების გაშენების, მოვლა-პატრონობისადმი, ხალხის სამსახურში მთლიანად ჩაყენებისადმი არასოდეს არ ყოფილა ისე მიზნობრივი და მზრუნველობით გარემოსილი, როგორც ახლაა.

ბუნებას იცავს ჩვენი სახელმწიფოს კანონი, მისი გაშენებისათვის, მოვლისა და განვითარებისათვის შექმნილია სახელმწიფო უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბუნების დაცვის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების სესიები.

ჩვენში საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული ბუნების დაცვას, მისი ფლორისა და ფაუნის ზრდა-განვითარებას, ახლის გაშენებას, არსებულის მოვლა-შენახვას.

და ახლაც, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის 50 წლისთავისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ახალი ტყეების მასივების გაშენებას სერიოზული მნიშვნელობა მიანიჭა. მიღებულ იქნა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება, რომელშიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ ინიციატივას, რომ საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაირგოს 50 მილიონი ხე.

ამ უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საიუბილეო ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის ფართო სამუშაოები გაიშალა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში. ყველგან ისახება ღონისძიებანი ახალი ტყის მასივების გაშენების უზრუნველსაყოფად. ზონალურ თათბირებზე, რომლებიც გაიმართა თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში ფართოდ იმსჯელეს და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი ტყის რგვის საშემოდგომო სეზონის ვადების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ხეების რგვის სეზონის დაწყებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის; რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ ადგილობრივი ორგანიზაციები. მარტო ჩვენს დედაქალაქში გამწვანების ტრესტი 200 ათასამდე ხეს დარგავს. დიდი სამუშაოები განხორციელდება თბილისის შემოგარენის გატყევებისათვის. ამ მიმართულებით თბილისის სატყეო მეურნეობის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს დედაქალაქის გარშემო ერთ მილიონზე მეტი ხე დარგოს.

ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში მონაწილეობისათვის უნდა დაირაზმოს ყველა მშრომელი, ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ბუნების აყვავების საშვილიშვილო საქმე. საქართველოს თვითთეული მშრომელის მარჯვენას, ენერგიას, თვითთეული ჩვენგანის შრომას ელოდება ტყით დაუფარავი ათეული ათასობით ჰექტარი ფართობები.

ბრძნულად არის ნათქვამი: ტყე ქმნის წყალს, წყალი მოსავალს, მოსავალი კი სიცოცხლეს. ჩვენი სამშობლო ჩვენივე ოჯახია, ჩვენი კარმიდამოა. როცა ამ კარმიდამოს უვლი, ამრავლებ, იგი შენი კეთილდღეობის, ხანგრძლივი სიცოცხლის წყაროდ იქცევა. ბუნება, ტყე ყოველთვის იყო და არის ადამიანის საზრუნავი, მისი ერთგული მეგობარი, მისი სიცოცხლის ქომაგი.

ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ორგანიზებულად დავიწყებთ ხეების რგვას. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ყოველი მოქალაქე, სტუდენტი, მოსწავლე, ამასთან არ უნდა დავივიწყოთ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ბუნების დაცვა-განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

ამ ახსნაგანმარტებითი მუშაობის მიზანი უნდა იყოს ის, რომ კიდევ უფრო მეტად შევაყვაროთ ადამიანებს ბუნება. აგიტაციამ ხელი უნდა შეუწყოს საიუბილეო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, გამშვენებული ფერდობების გატყევებას, ქალაქებისა და სოფლების გამწვანებას, დარგული ნერგის გახარებასა და შენარჩუნებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბუნებას, ტყეს დაცვა სჭირდებოდეს მხოლოდ ბუნებრივი მოვლენებისაგან და არა ადამიანისაგან.

ერთგულად და ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ახალი ტყეების გაშენებას. მცენარე ალამაზებს, ამშვენიერებს ჩვენს გარემოს, ტყე ადამიანის ჯანმრთელობის, ხანგრძლივი სიცოცხლის უშრეტი წყაროა. ამიტომ არის იგი დღეს ჩვენი სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის საგანი. ახალი ტყე-პარკების გაშენება ყველა ჩვენგანისათვის სახელისა და დიდების საქმეა, დიდი პატრიოტული მოვალეობაა.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრომელთა ამოცანაა მთელი თავიანთი ძალები და შესაძლებლობანი წარმართონ იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს საიუბილეო ვალდებულება — საქართველოს წარმტაც მწვანე სამოსელს კიდევ შეემატოს 50 მილიონი ხე.

დიდი გულთბილობით

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს ჩამოსვლა

6 ოქტომბერს მოსკოვი დიდი გულთბილობით შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟ. პომპიდუს. მეგობარი საფრანგეთის მეთაური საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საპატიო სტუმართან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მორის შუმანი და სხვა სტუმრები.

სადღესასწაულოდ მორთულია ვნუკოვოს აეროდრომი. ფრიალებენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. აქვე არიან მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები.

საფრანგეთის პრეზიდენტს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური გაემართა მისთვის გამოყოფილი რეზიდენციისაკენ კრემლში.

ქუჩები და მოედნები, რომლებითაც საპატიო სტუმარი მოდიოდა, მორთული იყო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით. (საქდესი).

სურათზე: როველი ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ფოტო ვ. ბუნგიურისა.

ყვარლის ზვრებში

გარაქიანი რთველი

ყვარლის რაიონის სოფლის მშრომელებისათვის მევენახეობა ახალი დარგი როდია. ჩვენი გლეხაცი ოდითგანვე ვაზს ეტრფოდა და ძალ-ღონეს არ ზოგავდა მაღალხარისხოვანი ყურძნის მოყვანისა და საუკეთესო ღვინის დაყენებისათვის.

ისეთი ბარაქიანი რთველი, როგორიც წელს დაუდგათ ჩვენს მევენახეებს, დიდი ხანია არავის ახსოვს. ეს წარმატება მათ ოღლი გზით როდი მოუპოვებიათ. წლევანდელი ამინდის ჭირვეულობას გონივრული შრომა, დიდი ხნის გამოცდილება და შრომის მეცნიერული მეთოდები დაუპირისპირეს. გულდასმით მოუარეს ვაზს, თვალსაჩინოვით გაუფრთხილდნენ თვითეულ მტევანს, და ამაოდ დაუფასდათ. მეგზით ნავარაუდევი 19.500 ტონის ნაცვლად რაიონის მევენახეებმა სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს 21.000 ტონა ყურძენი. რთველი ჯერ გრძელდება.

ვინ შეიტანა ამ წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი, ძნელია ყველას დასახელება, ისინი ბევრი არიან, მაგრამ ნათქვამია, „მჭიანის მჭიანი არ დაილეგაო“, და ჩვენც მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით. ყვარლის, ხაბუისა და „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები, სანერგე მეურნეობა, გავაზის, ჭიკაანის, შილდის, ახალსოფლის კოლმეურნეობები — აი ვინ ისახელა თავი ყურძნის უხვი მოსავლით.

ამ მეურნეობათა ცალკეულმა ბრიგადებმა კი პირდაპირ სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს. ჭიკაანის კოლმეურნეობის ზოგიერთ ნაკვეთში ყურძნის მოსავალმა ჰექტარზე 150 ცენტნერს გადააჭარბა. ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ამ ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანა ხალირაშვილი ხელმძღვანელობს, 50 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ახლა, როცა რთველი გრძელდება და ერთბელ კიდევ გადავავლეთ თვალი ჩვენს შესაძლებლობებს, იმ დასკვნამდე მივედით, რომ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდათ არა 1.500 ტონა ყურძენს, როგორც ეს სოციალისტური ვალდებულებით გვქონდა გათვალისწინებული, არამედ 4.000 ტონა ყურძენს. წელს სამშობლოს მოვცემთ სულ 23.500 ტონა ყურძენს.

მაგრამ წლევანდელი წარმატება როდი ამშვიდებს ჩვენს მევენახეებს. მათ კარგად იციან, რომ ჩვენს პირობებში კიდევ უფრო მეტი მოსავლის მიღება შეიძლება. ამიტომ ისინი აქედანვე შეუდგნენ მომავალი წლის ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას. მოკრეფილ ზვრებში უკვე გუგუნებს ტრაქტორები, ჰექანიზატორები ამუშავებენ ნიადაგს.

გ. ზაუტაშვილი.

საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

შილდელთა წვლილი

ყვარლის რაიონმა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა რომ გადამეტებით შეასრულა, ამაში ჩვენი, შილდელი მევენახეების წვლილიც არის. კოლმეურნეობას 900 ჰექტარზე მეტი ვენახები აქვს. აქედან 400 ჰექტარის მოსავლიანი. ბუთწლიდის მეზუთე წელს ზვრებს მოვლა-პატრონობა არ დაგვიკლეთ.

შრომა დაგვიფასდა. ჩვენი ბრიგადა ჰექტარზე ნაკლებად 50 ცენტნერისა 60 ცენტნერ ყურძენს კრეფს. ასევე ითქმის სხვა ბრიგადების მევენახეებზეც. კოლმეურნეობამ გადალდებულებით სახელმწიფოს 2.500 ტონა ყურძენი უნდა მიაყიდოს. რთველი ჯერ არ დამთავრებულა, უკვე მოკრეფილ 2.000 ტონა. ვალდებულება შესრულდება.

ვ. ღელალუტაშვილი,

შილდის კოლმეურნეობის მევენახე.

ჰექტარზე 200 ცენტნერი

ოდესაც წელი ვუვლიდი კოლმეურნეობის ნაკვეთს, რომელიც მე მქონდა მიჩენილი. ამ ორი წლის წინათ პენსიაზე გავედი, მაგრამ გული როგორ მომისვენებდა, რომ ვენახში არ მემუშავა. ჩემს ბიჭებთან (ათი შვილის მამა ვარ), მეუობლებთან ერთად კვლავ ზვრებში ვმუშაობ. ექვს ჰექტარიან ზვარს ვუვლით, რამდენიმე კოლმეურნე. მთელ წელიწადს მოვლა-პატრონობა არ მოვაკლეთ ვაზს და შედეგიც სასიხარულო მივიღეთ — ჰექტარზე ორას ცენტნერამდე ყურძენი მოვკიფეთ.

ალ. ჯიხვაძე,

სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობის მევენახე. სოციალისტური შრომის გმირი.

ქოსმოსის ბეჭერი — საქართველოს სტუმარი

1968 წლის 26 ოქტომბერს 11 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილი იქნა მძლავრი კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“. მას პილოტობდა საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი მფრინავი, სსრ კავშირის დამსახურებული გამომცდელი მფრინავი პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი.

იმ ღირსსახსოვარ დღეს ახდა გიორგი ტიმოთეს-ძის, პოლტავის ოლქის ყოფილი უბრალო სოფლელი ბიჭის ყველაზე სანუკვარი ოცნება. მაგრამ ამ კოსმოსურ ტრიუმფამდე მომავალ კოსმონავტს მოუხდა ემუშავნა ენაკეთვის მეტალურგიულ ქარხანაში, დიდი სამამულო ომის წლებში კი ებრძოლნა სხვადასხვა ფრონტებზე მოიერიშე ავიაციის შემადგენლობაში. სწორედ აქ, ფაშისტურ დამპყრობლებთან ბრძოლებში გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ ეწვიოდა გამომცდელი მფრინავის რთულ და წარმტაც მუშაობას ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო წითელდროშოვან აკადემიაში, 1964 წელს კი ჩაირიცხა კოსმონავტთა რაზმში.

და აი კოსმოსში წავიდა დიდი სამამულო ომის გმირი.

რთული და დაძაბული იყო ამ ახალი კოსმოსური ექსპერიმენტის პროგრამა. დავალების შესაბამისად ხომალდი „სოიუზ-3“ ახდენდა მიახლოებას უპილოტო ხომალდ „სოიუზ-2“-თან და ეწეოდა მანევრირებას კოსმოსურ სივრცეში.

მან შეასრულა ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სანავიგაციო მიზნით აწარმოებდა ვარსკვლავებზე დაკვირვებას, გადმოსცა მთელი რიგი სატელევიზიო რეპორტაჟები.

სახელოვანი კოსმონავტი, რომლის მკერდზეც ბრწყინავს საბჭოთა კავშირის გმირის ორი „ოქროს ვარსკვლავი“, თბილისს ეწვია. ჩვენმა დედაქალაქმა სტუმართმოყვარულად ჩაიკრა გულში საყვარელი სტუმარი. გიორგი ბერეგოვოის ყველგან დიმილით, ყვავილებით, ტაშით ხვდებიან.

თუმცა კოსმონავტი საქართველოში ყოფილა თხუთმეტი წლის წინათ, მაგრამ ეს სტუმრობა ხანმოკლე იყო. ახლა გიორგი ტიმოთეს-ძე კვლავ და საფუძვლიანად ეცნობა ჩვენს ქალაქსა და რესპუბლიკას. იგი იყო მეტეხთან, აქედან ტაბიდოდა ქალაქის წარმტაცი პანორამის ცქერით, რომელიც, მისი სიტყვით, მხატვრის ფუნჯის ღირსია...

შემდეგ ეგზოგადსეირნება 300 არაგველის ობელისკთან. იგი აღტაცებულია ჩვენი დედაქალაქის ისტორიული ადგილებით. შემდეგ კოსმონავტი ეწვია საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, ჯანმრთელობის სახელმწიფო მუზეუმს, რაც ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების განგრძობა იყო. გიორგი ტიმოთეს-ძე გაეცნო უძვირფასესი ექსპონატების შესანიშნავ კოლექციას, რომლებიც ამ მუზეუმებში ინახება.

გუშინვე კოსმონავტი მფრინავი იყო თბილისის ზღვაზე და კუს ტბაზე, ახალშენებათა რაიონებში, ამაღლებულები შეხვედრები ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებთან, თბილისის ელექტროსაბმენელო ქარხნის კოლექტივთან, 23-ე საუნელო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ჩაის სახლში გასინჯა სურნელოვანი გამახალისებელი სასმელი.

დღის განმავლობაში უხვად დაგროვებულ შთაბეჭდილებათა და ემოციათა შესაჯამებლად გიორგი ტიმოთეს-ძემ „კომუნისტის“ მკითხველთა და საქართველოს მშრომელთა მისამართით დაწერა:

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს

გმირულ რევოლუციურ წარსულთან და დღევანდელ თავდადებულ შრომასთან გაცნობა იწვევს ჯანსაღი სიამაყეს და იმის რწმენას, რომ მრეწველობისა და მინდვრების მშრომელნი ღირსეულად შეხვდებიან საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და სამშობლოს გაახარებენ ახალი შრომითი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

გისურვებთ შემოქმედებითს წარმატებას, ჯანმრთელობასა და სიხარულს.

ბერეგოვოი.

6. 10. 70 წ.

დღეს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი გ. ტ. ბერეგოვოი გაემგზავრა კახეთში.

Читателям газеты „Коммунисти“

Знакомство с героическим революционным прошлым и самоотверженным трудом в настоящее время вызывает законную гордость и веру в то, что тружениики промышленности и полей достойно встретят полувековой юбилей Грузинской Социалистической Республики и порадуют Родину новыми трудовыми успехами в честь XXIV съезда КПСС.

Творческого успеха, здоровья и радости Вам.

Берегов
6. 10. 70

სოციალიზმის გზით

6 ოქტომბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების კრების მონაწილეებმა მხურვალედ მიეულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოძმე ხალხს ეროვნული დღესასწაული — პირველი გერმანული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის 21 წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ი. მ. ვლადიჩენკო, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის დოქტორ ლოტარ ბოლცის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰორსტ ბიტნერი, სხვა გერმანელი მეგობრები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ი. პავლოვმა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრმა ნ. ვ. პოლიანსკიმ აღნიშნა, რომ გერმანიის აღმოსავლეთში ხორციელდება რევოლუციური გერმანიის მუშათა მოძრაობის მიზანი, რომელიც 120 წლის წინ გამოაცხადეს გერმანიის დიდმა შვილებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა.

დედაქალაქის მშრომელთა სახელით გერმანელ მეგობრებს მიესალმა მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტომექანიკურ ქარხანის მეზავი, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი ი. მ. სმირნოვი.

დედაქალაქის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სახელით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობას კომკავშირული სალამი გადასცა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა სვეტლანა ფიტერევამ.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ დოქტორ ლოტარ ბოლცს.

მან თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების 25 წლისთავი.

ყველა-ჩვენს წარმატებას, თქვა დასასრულ ლ. ბოლცმა, ყველა ჩვენს გეგმასა და საქმეს საფუძველად უდევს საბჭოთა კავშირთან მეგობრობა; ამ მეგობრობის განვითარება ხელს უწყობს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობა, რომელიც 1947 წელს შეიქმნა. ამ საზოგადოების რიგებში ახლა 3,5 მილიონზე მეტი აკეთია. საზოგადოების საქმიანობას საფუძველად უდევს ლოზუნგი: „ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან — ეს ნიშნავს ვასწავლოთ ბრძოლა და გამარჯვება“. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

დახმარების ფასი

რაიკომი და პირველადი ორგანიზაცია

პირველადი ორგანიზაციები წარმოადგენენ პარტიის საფუძველს. სწორედ პირველად ორგანიზაციებში, როგორც ფოკუსში, აისახება პარტიის მთელი შინაპარტიული ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა.

როგორც ცნობილია, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში პირველად პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ დათმობილი. პარტიის შემდგომი განმტკიცების ამოცანა აუცილებლად მოითხოვს პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, რომ სწორედ პირველადი ორგანიზაციები ასრულებენ გადამწყვეტ როლს პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. კომუნისტთა აღზრდაში, რომ ისინი აკავშირებენ პარტიას მასებთან, მოქმედებენ იქ, სადაც მიმდინარეობს მშენებლობისა და შემოქმედების უშუალო პროცესი.

პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებს, რომელიც ჩვენი პარტიის ყრილობისათვის მზადების პერიოდში მიმდინარეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კრებებზე კომუნისტები გულმოდგინედ უკვეთებენ ანალიზს საქმის მდგომარეობას, უფრო ღრმად სწვდებიან იმ პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც ახლო მომავალში უნდა გადაწყვიტონ.

გასული წელი რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ წაგებით დაამთავრა, ხოლო მთლიანად რაიონმა სოფლის მეურნეობის 11 სახის პროდუქციიდან სახელმწიფო გეგმა მხოლოდ სამ სახეში შეასრულა. გასული ოთხი წლის მანძილზე საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს დააკლეს თერმიტი მილიონი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია.

საგანგაშო იყო ის, რომ ყოველწლიურად მცირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. შარშან წარმოებული იყო 2 მილიონ 208 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია, ვიდრე 1966 წელს.

პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დადგა სბრძოლო ამოცანა — აუცილებლად შევახრულოთ ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. ამისათვის პარტიული აქტივის დახმარებით ანალიზი გავუკეთეთ მეურნეობებში შექმნილ მდგომარეობას და დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. ამოქმედდა ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, პირველ რიგში ამაღლდა საზოგადოებრივ მეურნეობებში პარტიული ხელმძღვანელობის დონე. ყოველივე ამან მეტად დადებითი შედეგი გამოიღო.

მოვიყვანთ რამდენიმე მონაცემს: გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 8.338 ტონა მარცვლეული. საუალოდ ექტარზე რაიონის ისტორიაში პირველად იქნა მოღებული 20.5 ცენტნერი მარცვლეული.

სასიხარულო აშრომეს მებოსტნეებმა, მათ 6 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიპყიდეს 15 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული ნლიურად ფალი მეურნეობებში შეკრებილ მდგომარეობას და დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. ამოქმედდა ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, პირველ რიგში ამაღლდა საზოგადოებრივ მეურნეობებში პარტიული ხელმძღვანელობის დონე. ყოველივე ამან მეტად დადებითი შედეგი გამოიღო.

მოვიყვანთ რამდენიმე მონაცემს: გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 8.338 ტონა მარცვლეული. საუალოდ ექტარზე რაიონის ისტორიაში პირველად იქნა მოღებული 20.5 ცენტნერი მარცვლეული.

სასიხარულო აშრომეს მებოსტნეებმა, მათ 6 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიპყიდეს 15 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული ნლიურად ადგილი ჰქონდა უყაირათობას, პარტბიურო მხოლოდ უბრალო მეთვალყურის როლში გამოდიოდა.

საჭირო იყო ხაქმეში სასწრაფოდ ჩარევა, გადამჭრელი ზომების მიღება. პარტიის რაიკომმა მეფურნეობის ხელმძღვანელობა დაავალა. ... გამოცდილ სამეურნეო მუშაკსა და კარგ ორგანიზატორს, კომუნისტ ავიაზ გასანოვს. რაიკომმა მოსთხოვა მეურნეობის პარტიულ კომიტეტს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გაეგზავნა ავტორიტეტული, ხაქმის მცოდნე კომუნისტები, გაეძლიერებინა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მალე მეურნეობის ყანილაჯლის აგროგანყოფილების უფროსად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი, ხამამულო ომის მონაწილე კომუნისტი ა. უატულაევი, ხოლო

რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაოლრიოლი

5 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების დათვალიერების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით.

1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე გამოცხადებული დათვალიერება მიხნად ისახავს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერულ მუშაკთა, მოსამსახურეთა, სამეცნიერო ხელმძღვანელთა, წარმოების მეთაურთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება და მეცადინეობა წარმართოს იმისაკენ, რომ უფრო რაციონალურად გამოიყენონ სამუშაო დღე, თითოეული სამუშაო წუთი, აღმოფხვრან მოცდენები, დროულად მოამზადონ სამუშაო ადგილი, სრულყონ წარმოების დაგეგმვა, აღრიცხვა და ორგანიზაცია, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოების მართვა და სხვ.

კომისიის სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს დათვალიერება. კომისიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის სოფლურ კომიტეტებში, საქალაქო კომიტეტებში, რაიკომებში, სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე მეტწილ სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და დაწესებულებებში დროულად შეიქმნა დათვალიერების ხელმძღვანელობის კომისიები. პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გაწიეს იმისათვის, რომ ორგანიზებულად განხორციელებულიყო დათვალიერება, მიეღინიეებინათ მისთვის საჭიროობა, თითოეულ კომუნისტს, მუშასა და მოსამსახურეს შეეგნო სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების მაკსიმალური გადიდებისათვის. ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში მიღებულ წინადადებათა ანალიზის შედეგად არამატერიალური გამოვლინეს სამუშაო დროის ცალკეული ნაკლოვანებანი და მიზეზები, არამედ დასახეს — ზოგან კი დაწერეს კიდეც — მათი აღმოფხვრის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

დათვალიერების მსვლელობაში დადებითი შედეგები მოიპოვეს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, „ცხინვალის ქარხანა „ვიბრამანქანაში", ტყიბულის სტალინის სახელობის შახტაში, ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, „საქართველოს ჩაის" ტრესტში, რუსთავის „ავტომატმრეწვის" საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში, სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში რიდი ენიშნა დათვალიერებას ჯეროვანი მნიშვნელობა, თართო საჯაროობა, არ აკლენენ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების დამატებითს შესაძლებლობებს. ყველგან რიდი მიენიჭა საკირო გაკანონება დათვალიერებას, რის შედეგად დათვალიერების ზოგიერთ კომისიაში ცოტა წინადადება მიდის, მთელ რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ჯერჯერობით არ განუხილავთ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. ნ. ცხაკაიამ. (საქმეცნ).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

უკატრონო მშენებლობა

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც ამხილებდა სოფელ საყენეთის ხიდის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. გელაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში დასახელებული ფაქტები სინამდვილეს შეშფოთებას.

ამჟამად ხიდის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო გვპირდება, მიმდინარე წელს ხიდის მშენებლობას დაამთავრებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

შავი ლაქა თეთრ ფონზე

რით ავხსნათ, რომ მარტენის საამქროს წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ფოლადი ზამოადნო, ხოლო ივლისსა და აგვისტოში საგრძნობლად გაუარესა მაჩვენებლებმა? და რაზე გამახვილეს ყურადღება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კომუნისტებმა პირველად პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა გ. გათაკაშვილმა, აღრეფილ „ამათის მონაწილე კომუნისტებმა ნაკაქეს № 1 და № 3 ღუმელებზე მომუშავე ბრიგადები (ხელმძღვანელები ი. ფანტელია, გ. ბერეკაშვილი, ი. ტაბატაძე, ზ. ყაველაშვილი, ლ. მეტრეველი, გ. სერგისკეთოვი, ჯ. ბაირაკოვი, ი. ქოქიაშვილი). მათ მართლაც, შეასანშაოდ აშრომეს ივლისსა და აგვისტოში, როცა საამქროში შედარებით მძიმე პირობები შეექმნა.

უფროსმა ოსტატმა ვ. გიგიბერიამ და საამქროს მექანიკოსმა ს. კოსტაკოვმა მათი წარმატება იმით ახსნეს, რომ ბრიგადებში სათანადო სიმაღლეზე დგას შრომის დისციპლინა, კარგად აქვთ ათვისებული ფოლადის დნობის ტექნოლოგია, ადგილი არა აქვს მოცდენებს.

მაგრამ ასე არ ითქმის №-6 და №-8 ღუმელების შესახებ, რომელთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის რვა თვეში სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულეს. საწარმოს კომუნისტების აზრით ეს ჩამორჩენა გამოიწვია უწინარეს ყოვლისა ციცი და ცხელი რემონტების მეტისმეტმა გაჭიანურებამ. მაგალითად, №8 ღუმელების ციკ რემონტზე გათვალისწინებული 168 საათის ნაცვლად დახარჯა 208 საათი, ცხელ რემონტზე კი—96 საათის ნაცვლად 241 საათი.

მეფოლადე ლ. მეტრეველმა, ღუმელის ოსტატმა ნ. შავარდენიძემ, ელექტრიკოსმა ა. კანჭილაშვილმა აღნიშნეს, რომ საამქროს ზაფხულობით განიცდის მუშახელის ნაკლებობას. ამიტომ აქ სათანადო რეზერვების უქონლობის გამო უჭირთ ღუმელების მომსახურება. მეფოლადეებს ხელი უშლებათ აგრეთვე დოლომიტის, მაგნეზიტისა და სხვა ფასწყობი მასალების უქონლობით.

კრებს მონაწილე კომუნისტებმა საამქროს ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის ყურადღება გამახვილეს ღუმელების დიდი მოცდენის ფაქტებზე, მოძველებული დანადგარ-მოწყობილობის, განსაკუთრებით კი საღუმელი და სარამოსხმო მექანიზმების განახლების აუცილებლობაზე.

სექტემბერში რუსთაველმა მეფოლადეებმა შედარებით კარგად იმუშავეს. თითქმის ყველა მათგანმა გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება. მათ დიდი სამსახური გაუწია 10-ტონიანი ჩამტვირთავი მანქანის მწყობრში ჩაყენებამ. ახლო მომავალში კიდევ ერთი ასეთი მანქანა ჩადგება მწყობრში და ძირითადად გადაწყდება ჩატვირთვის პრობლემა.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ყველაფერი — ალზრდისათვის

სასწავლო-სააღმზრდელო საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა სანაკორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებს.

მაშასადამე, დიდია პასუხისმგებლობა. და ეს იგრძნობოდა გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანაკორიული ტიპის სკოლა-ინტერნატის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც. პარტორგანიზაციის მდივნის ვ. კვარაცხელიას მოხსენებაში და კომუნისტთა გამოსვლებში ჩანდა სკოლა-ინტერნატის მთელი კოლექტივის დაუცხრომელი ზრუნვა მომავალი თაობის აღზრდისათვის. მის განკარგულებაშია სამსართულიანი კაპიტალური შენობა, საერთო საცხოვრებელი, სხვა შენობები. სახელმწიფო არაფერს იშურებს აღსაზრდელებისათვის — მათთვის ხომ ყველაფერი უფასოა!

გასულ სასწავლო წელს 240 მოსწავლე გადაყვანილ იქნა შემდგომ კლასებში. აღსაზრდელთა საერთო კონტინგენტის სამიკი პროცენტი ხუთსანი და ოთხსანია. წელს სასკოლო მერხს მიუჯდა 250 ბავშვი. პატრონაჟია დირექციასთან ერთად ზრუნავს მასწავლებელთა დახელოვნებისათვის. ეწყობა საჩვენებელი გაკვეთილები, სემინარები, აზრთა ურთიერთგაზიარება.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპატრონო პედაგოგების პოლიტიკური განათლება. აქ მეიქმნა და მეცადინეობს მიმდინარე საკითხების შემსწავლელი სემინარი, რომელსაც ვ. აბელეანი ხელმძღვანელობს. სისტემატურად იმაღლებენ იდეურ-თეორიულ დონეს კომუნისტები კ. კეშელავა, ი. ლაშხია, ეფ. თოდუა, ბ. ბასილაია და სხვები.

კრებაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნა დაყენებული. ზოგიერთი მათგანი სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

— მეექვსე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო ძალზე გადატვირთულია,—თქვა მასწავლებელმა კ. კეშელავამ.—იგი უფრო ტომეულს ჰგავს (მასში 337 გვერდია), ვიდრე რვაწლიანი სკოლის მოსწავლის შეკუმშულ სახელმძღვანელოს. ისიც აღნიშნა, რომ პირველკლასელთათვის განკუთვნილი მათემატიკის სახელმძღვანელო გართულებულია.

კრებამ ყურადღება მიაქცია სკოლის მზადებას ზამთრისათვის, მოითხოვა ამ საქმეში მეტი დახმარება სათანადო ორგანოებისაგან.

ბ. მილეუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თბილისის სართავ-ხატვიკოტაეო კომბინატი წარმატებით ეწევა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტს. ხაწარმოს ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის კომუნისტური შრომის დამკვრელს მ. მჭედლიშვილს, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: მ. მჭედლიშვილი.

ფოტო ბ. ჭეჟილეიშვილისა.

„ინტერნაციონალი" ფოსტიდან

ზეთელწყარო. რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები ჩაბმული არიან სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლინ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მიმდინარე წლის ექვსი თვის სამეურნეო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ცეკავშირის გამგეობამ და სახვაჭრობისა და ხამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა წითელწყაროს ხამომხმარებლო კოოპერაციის კოლექტივს მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

აღნიშნული ჯილდოები კოოპერაციის მუშაკთა კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადასცა და მიულოცა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჯიკავხიძემ.

ვ. მოსაშვილი.

ტყიბული. აქ შეიქმნა სამთო საქმის სამეცნიერო-ტექნიკური სახალხო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი — სამთო მრეწველობის ეკონომიკისა და სამთო საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის. სწავლების ვადა ორი წელია.

ლ. ბეგიაშვილი

ბაიაკოვსკი. ჭართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის წინა წელს კარგი საჩუქარი მიიღეს წითელზეიდელმა მშრომელებმა. აქ ამოქმედდა ახალი ავტომატური ტელეფონის სადგური. 60-მდე ოჯახი უკვე სარგებლობს კავშირგამუღლობის ხელსაყრელი საშუალებით.

ბ. მეცვანაძე

ბანი. ამ დღეებში იაღიებზე მყოფ მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს ესტუმრა სოფელ ყუშურის სასოფლო კლუბის ავიტმსატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი ჯ. თვალაბეიშვილი), რომელმაც მწყემსებისათვის გამართა კონცერტი.

ვ. კორძაძე

ზუაბეევი. რაიონის ტაკიძეების კოლმეურნეობაში ფერმის კაპიტალური შენობა აშენდა. შემდეგ გადაწყდა იგი მექანიზებული გამხდარიყო. უკვე დამთავრდა მექანიზმების დამონტაჟების სამუშაოები.

დ. დუმბაძე

„პოლიტიჩესკოე საპოზრაზოვანიე"

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი

I კვარტალში საწარმოო მარაგები 101 ათასი მანეთით, ხოლო მუა ნაქონლის მარაგი 68 ათასი მანეთით ნაკლები იყო ნორმატივთან შედარებით.

კომბინატის მუშაკები წლითიწლობით ამცირებენ არასაწარმოო ხარჯებს, მუშაობენ ეკონომიურად. ბოლო 4 წლის მანძილზე კომბინატში გაწეულია 161 ტონა შალის ქსოვილისა და 133,4 ტონა ხელოვნური ბოჭკოს ეკონომია. დაზოგილია 3.456 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ანუ მიღული დანარჯული ენერგიის 8,5 პროცენტი. კომბინატის მუშაკებმა მარტო 1970 წლის 8 თვეში დაზოგეს 20 ტონამდე გასარეცხი მატყული, 30 ტონამდე ნახავი, ნახევარ მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ კომბინატში წარმოების ეფექტიანობის ზრდის რეზერვები ჯერ კიდევ არის. ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა საგრძნობი გაუმჯობესება შეიძლება, მაგალითად, მოწყობილობის მოცდენის შემცირებით, რადგან მოწყობილობის მოცდენები აქ 8.9 პროცენტიდან 15,5 პროცენტამდე მერყეობს.

ეკონომიის რეჟიმის თანმიმდევრულ განხორციელებას კომბინატში ხელი შეუწყო წარმოების 5 ძირითადი უბნის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ. სამეურნეო ანგარიში დაინერგა ბრიგადებშიც. მაუდ-ანალოლის კომბინატი ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, სადაც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალმა მეთოდებმა ძირეული ცვლილებები შეიტანეს მეურნეობის წარმართვის მთელ კომპლექსში. ამჟამად კომბინატს მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს.

ეკონომიის რეჟიმის ერთ-ერთი გამოსატულებაა ის, რომ კომბინატს წელიწადნახევარზე მეტია არა აქვს საბრუნავ საშუალებათა ზენორმატიული ნაშთი, აღსანიშნავია, რომ 1970 წლის საგულისხმოა, რომ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, მიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით კომბინატმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა საწარმოო კოლექტივის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმით კომბინატში სამი წლის მანძილზე (1970-1972 წწ.) უნდა გამოთავისუფლდეს 376 კაცი, რაც კომბინატს საშუალებას მისცემს შრომის ნაყოფიერება 12,1 პროცენტით გაზარდოს.

სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის კომბინატის მუშაკებმა შეიმუშავეს ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის პროგრამა, რომელიც შეიცავს ითვალისწინებს: მაუდის ნართის წარმოებაში 7 სართავი მანქანის მოდერნიზაციის გზით 70 გრამიდან 140 გრამამდე გადიდდეს მასრხვეულების მოცულობა, რითაც 4 ტონამდე ნედლეულის დაიზოგება. განხორციელდა ნაზავის დასაზეთ ემულსიაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა. გლიცერინის გამოყენებით ფთილისა და ნართის ზეყვეტილობაზე 15 პროცენტით შემცირდება, რაც შესაბამისად 2,1 ტონა ნედლეულს დაზოგავს. მანქანა-დანადგარების გადართვებით გამოწვეული ნედლეულის დანაკარგების შემცირების მიზნით კამვოლური ნართის წარმოებაში განხორციელდება ნართის უნიფიცირება, რითაც დამატებით მიიღებენ 2,4 ტონა ნედლეულის ეკონომიას.

მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება მარტო დროებითი კამპანია, მოწოდება როდია. ეს არის მუდმივი მოთხოვნა ხაზოგადოების ყველა წევრისადმი. ამიტომ რესპუბლიკის საწარმოებმა მუდამ უნდა იბრძოლონ შიგასაწარმოო რეზერვების გამოვლინების, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ზ. კაციაშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკავლევი ინსტიტუტის სექტორის გამგე.

ვიშრომოთ ეფექტურად, ყაირათიანად

რენტაბელობის გზაზე

ეკონომიური ცოდნით შეეიარაღოთ, თანმიმდევრულად შევასწავლოთ მათ ეკონომიური ბერკეტების უნარიანი გამოყენება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიური მუშაობის დონე, მით უფრო მცირე დანახარჯებით სრულდება საწარმოო დავალებანი. საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მეტწილად სწორედ ეკონომიური სამსახურის მუშაობის დაბალი დონით აიხსნება.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შესაძლებლობებს კარგად იყენებენ თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში". კომბინატის ხელმძღვანელობამ ეკონომიის რეჟიმის განხორციელების ყველაზე ეფექტიანი გზა იპოვა, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. კომბინატში მხარს უჭერენ ყოველ სიახლეს, ცდილობენ შექმნან კადრების შრომითი აღზრდის მტკიცე და ზუსტი სისტემა.

**ეკონომიური ცოდნით შეიარაღებულ ადამიანებს ეხმარებიან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, ინჟინერ-ეკონომისტთა ბიურო, ეკონომიკურ ანალიზთა ბიურო, ეკონომიკურ ინფორმაციათა ბიურო, ეკონომიკურ ინფორმაციათა ბიურო, ეკონომიკურ ინფორმაციათ

მსოფლიო დღე

მშვიდობის მეჯიცე კურსი

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში

მსოფლიო პრესა ფართოდ განმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე გაკეთები.

საზღვარგარეთის პრესა ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოსვლას, რომელშიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მკაფიო და თანმიმდევრული პოლიტიკა თანამედროვეობის ძირითად პრობლემებზე. განმარტავენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას, პოლიტიკური მიმმხილველები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განახორციელოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კურსი.

სოციალისტური ქვეყნების პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და განუხრელად იბრძვის სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრებისათვის მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად.

ბერლინი. „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზს უსვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში გამოხატულია საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირი კვლავაც საკადრის პასუხს გასცემს იმპერიალისტ აგრესორებსა და პროვოკატორებს, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“.

პროფკავშირული გაზეთი „ტრიბუნე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვიდან გამოყოფს იმ ადგილებს, რომლებიც ეძღვნება თანამედროვეობის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი ფართოდ ემზადება სკკპ XXIV ყრილობისათვის.

ბარშავა. პოლონეთის პრესა ხელმოწერილ ჩარევა იორდანიაში დაწყებულ ამბებში“.

პრესა ფართოდ განმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლის იმ ნაწილს, რომელიც ვიეტნამის მდგომარეობას ეძღვნება, პოლიტიკური მიმმხილველები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას.

ლონდონი. ინგლისში კვლავ განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას.

ინგლისის ყველა უდიდესმა გაზეთმა გამოაქვეყნა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შინაარსი თვალსაჩინო ადგილებზე დიდი სათაურებით. ანგარიშები გამოსვლის შესახებ გადასცეს რადიოთი და ტელევიზიით. „საბჭოთა კავშირს ყოველად დაუშვებლად მიაჩნია, როგორიც უნდა იყოს უცხოთის ჩარევა იორდანიაში დაწყებულ ამბებში“, წერს გავლენიანი გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც განმარტავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, გაზეთი წერს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში გამოთქვა გაფრთხილება, რომ ისრაელის სამხედრო ხარდლობა ზრდის ძალებს ახალი ბანდიტური დარტყმებისათვის არაბული ქვეყნების მიმართ. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ხელი შეუწყოს პოლიტიკური საშუალებებით ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიან მოწესრიგებას, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას და ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის მშვიდობისა და სიმშვიდის დაბრუნებას მტკიცე, ხანგრძლივ საფუძველზე.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესა კვლავ განმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებას. „ბრეჟნევმა დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების გავლენა ევროპის ვითარებაზე“, — წერს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“.

მთელი რიგი გაზეთები გამოყოფენ ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებით „ყველამ ერთიანად მოიგო“.

პარიზი, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა საზეიმო სხდომაზე ბაკოში საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

პრესა ბეჭდავს ვრცელ გამოთქვამებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვიდან, რომლებიც ეძღვნება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

გაზეთები გამოყოფენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ჟორჟ პომპიდუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში მიზნად ახლო ახლოებით ეტაპს მეგობრობის განმტკიცებაში, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანხმობა და თანამშრომლობას ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები

ფულბრაიტის განცხადება

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდისი). როგორც ამერიკის პრესა მოწმობს, პენტაგონის გარკვეულმა წრეებმა ამ ბოლო ხანს განახორციელეს ლონისძიებანი ჭეკიყანაში ხომარი ხტერიის გასაძლიერებლად. ერთ-ერთი ასეთი ლონისძიებაა ოუნაატრედ პრეს ინტერნაციონალის საკანტოსათვის მიკიმოლ ინტერვიუში სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა ფულბრაიტმა. „ნიქსონის მთავრობა, — განაცხადა ფულბრაიტმა, — ატყობენს ამერიკელ ხალხს“ როგორ იცხადებს, კუბაში შეიდება საბჭოთა წყალქვეშა ნავიგეს ბაზაო. პენტაგონის წარმომადგენლებს, რომლებიც წინა კვირაში გამოვიდნენ საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე, თქვა ფულბრაიტმა, არ ქონიათ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა ცნობებს ამის შესახებ. ფულბრაიტმა თქვა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ეგრეთწოდებული „საბაზვირო ცნობები“ გამოაქვეყნა ამ მიზნით, რომ შეეშინებინა ამერიკელები, აეძულებინა კონგრესი, რომ დაემტკიცებინა დიდი ასიგნებანი პენტაგონისათვის.

„ასეთნებათა განხილვის დროს, — განაცხადა ფულბრაიტმა, — ასეთი რამ ყოველ წელს ხდება“. ამერიკელ ხალხს, დასძინა ფულბრაიტმა, ატყუებენ და ამისათვის იყენებენ პრესას.

ახალი სახელმწიფო

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდისი) 10 ოქტომბერს მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო. დამოუკიდებლობა მოიპოვა ფიჯის მოსახლეობამ.

ფიჯი წუნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულების ჯგუფია. საერთო ფართობია 18,2 ათასი კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა ცოტათი აღემატება 500 ათას კაცს.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში შეიტყვეს, ფიჯის მთავრობას განზრახული აქვს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, რომ მიიღონ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

ტელეტაიპის ერთგული მკითხველი

ფაქტები

გამოფენა ჰავანაში

● ჰავანა, 6 ოქტომბერი. (საკდისი). ჰავანის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ლენინი და მოსკოვი“, რომელიც კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციამ და ჰავანის მუნიციპალიტეტმა მოაწყვეს. მის ხტენდებზეა მრავალი ფოტოსურათი, რომლებიც ასახავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის რევოლუციური და სახელმწიფო მოღვაწეობის მოსკოვის პერიოდს. ექსპოზიცია აგრეთვე დაწვრილებით აუწყებს მოსკოველთა შრომას, მათ უდიდეს წარმატებებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, იმას, თუ როგორ გაიზარდა და დამშვენდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბულგარეთში

● სოფია, 6 ოქტომბერი. (საკდისი) ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მოწვევით აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ს. დემირელი. სოფიის აეროდრომზე თურქ სტუმარს დაჰვდნენ ტ. ჟივკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

იქმნება ახალი მთავრობა

● ბეიროუთი, 6 ოქტომბერი. (საკდისი). ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან ფრანჯიემ საღამ სალამს დაავალა ლიბანის ახალი მთავრობის შექმნა კაბინეტის გადადგომის გამო, რომელსაც რაშიდ კარამმ მეთაურობდა.

ს. სალამი წინათ არაერთხელ ყოფილა პრემიერ-მინისტრი და შინისტრი.

სამხედრო ასიგნებანი იზრდება

● ვაშინგტონი, 6 ოქტომბერი. (საკდისი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს მომავალ საფინანსო წელს, რომელიც 1971 წლის 1 ივლისს დაიწყება, გადიდოს ასიგნებანი ხამხედრო საჭიროებისათვის. ეს „გუშინ განაცხადა ეროვნული ტაბუთან შეხვედრაზე პენტაგონის წარმომადგენელმა ჯ. ფრიდჰეიმმა.

მომდინარე საფინანსო წელს თეთრმა სახლმა კონგრესს სამხედრო მიზნისათვის მოსთხოვა 71,8 მილიარდი დოლარი. მაგრამ, როგორც ანოშეიტედ პრესის სააგენტო აცხადებს, ნამდვილი ხარჯები ამ თანხას სულ ცოტა ორი მილიარდი დოლარით გადააჭარბებს.

გაიხსნა „ინტერსერვის-70“

● პრაღა, 6 ოქტომბერი. (საკდისი). ჩრდილოეთ მორავიის ადმინისტრაციულ ცენტრ ოსტრავაში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა „ინტერსერვის-70“, რომელსაც სისუფთავისა და წესრიგის ტექნიკის პარადს უწოდებენ. გამოფენაზე წარმოდგენილია მანქანები და მექანიზმები სამრეწველო შენობების, სამშენებლო მოედნებისა და ხაცოვრებელი სახლების დაგვა-დასუფთავებისათვის, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების სარეცხი დასაწმენდი დანადგარები, რომელიც დამზადებულია ჩეხოსლოვაკიაში, საბჭოთა კავშირში, ავსტრიაში, ჰოლანდიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ექსპერიმენტი წყალქვეშ

● ბუდაპეშტი, 6 ოქტომბერი. (საკდისი). 30 საათი გაატარეს წყალქვეშ აკვალანგებით უნგრელმა მყვინთავებმა დეორდ სირტეშმა და ბელა ბორიმ. 31-33 გრადუსს ტემპერატურიანი წყლით სავსე აუზში, სადაც ექსპერიმენტი ეწყობოდა, დადგმული იყო საყვინთი ზარხუთი. აქ დ. სირტეშსა და ბ. ბორის შეეძლოთ ქმამთა, დაეძინათ, გაევლოთ სამედიცინო შემოწმება და გამოეცვალათ ჰაერით სავსე ბალონები. ყოველივე საჭიროს ისინი ლღებდნენ ზედაპირზე ამოუსვლელად.

ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ მყვინთავები თავს კარგად გრძნობენ.

7 ოქტომბერი ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 21-ე წლისთავია

მოძალის დიდი რწმენით

ლეონასწყალის ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებოდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ყოველ სახლში, ყოველ საწარმოში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში. და, თუ დავემორჩილებით რომანტიკულ გაწყობილებას შეიძლება ითქვას, რომ ბუნებამ იგი საეცნიერო უვერტიურით დაიწყო. შემოდგომამ უხვად შეაფერადა ტყეები, დღისით ყველაფერი იფარება მზის ოქროს გარაყით, ღამით პირველი მსუბუქი ყინვები ჯერ ვერცხლისფრად მოსავს მინდვრებს.

და ისიც, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ქუჩები ამ დღეებში განსაკუთრებით მოკამარია, რომ ჩვენგან სატკეფოსოდს ზიმითი სეეფს პატივს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა — ყოველივე ესეც ნიშნებია დღესასწაულისა, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა. და მაინც რესპუბლიკის დაბადების დღეს ყოველ წელიწადს აქვს თავისი განუმეორებელი სახე.

ეთხეზეზე, თუ როგორი იყო ჩვენთვის წლევანდელი წელი — გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის მესამე ათწლეულის პირველი წელი, ჩემი თანამოქალაქეები, ალბათ, ასე უპასუხებდნენ: იგი წარმატებითი იყო, თუმცა არც ისე იოლი. და ამ პასუხში, ჩემი აზრით, გაისმის სიამაყე იმის გამო, რაც უკვე მიღწეულია, გაისმის შემოქმედების სინარული, მტკიცე რწმენა, რომ კვლავაც ყველა სიძნელის მიუხედავად ტტკრცედ ვიცლით დასახული გზით.

როცა ვლაპარაკობ ჩვენი წარმატებების გამო რესპუბლიკის მშრომელთა კანონიერ სიამაყეზე, ამ ცნებას ოდნავაც არ ვთანაბრებ თვითკმაყოფილ ლ ებისა და ბაქიობის იმ გრძნობებთან, რომლებიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული საზოგადოების ჩვენ წარმომდგენლებისათვის. ჩვენი ქვეყნის წარმატებები შედეგია ხალხის შემოქმედებითი შრომისა, რომელსაც მხარს უჭერენ კლასობრივი ამხანაგები სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან და პირველ რიგში საბჭოთა კავშირიდან. მატერიალური ხასიათის ასეთ შედეგებს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ მრავალრიცხოვანი ახალმშენებლობანი, რომლებმაც ჩვენი ქალაქები უფრო გალამაზეს და მოკაზმეს, ხოლო ათეულ ათასობით ოჯახის ცხოვრება უფრო კეთილმოწყობილი გახადეს. ზედაზეედ დგება მწყობრში ახალი, თანამედროვე ყაიდაზე კონსტრუირებული და აღჭურვილი საწარმოები. ეს კი მნიშვნელოვანი წვლილია სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. წარმატებით გრძელდებოდა ჩვენი სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია. მოკლედ, ხორციელდება ათასობით კონკრეტული გეგმა და ჩანაფიქრი, რომელთა ავტორები და შემსრულებლები თვით მშრომელები არიან. ყოველივე ამას სოციალისტურ მშენებლობას ეუწოდებთ. ამ მშენებლობის ყოველდღიურობა კი ხომ მილიონობით ჩვენი მოქალაქის — მუშების, გლეხების, ინჟინრების, მეცნიერების შრომითი ენთუზიაზმია... ზოგიერთი დასავლეთელი სტუმარი ეკაკვირვებას გამოთქვამს, სად არის ასეთი მასობრივი ენთუზიაზმის დაუშრეტელი წყაროო. ეს წყაროა ახალი გერმანიის მოქალაქეთა სოციალისტური შეგნება, რომელიც ხორციელსმულია რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მიღწევებით.

მარტო მომდინარე წლის პირველ ნახევარში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. ფართო მოხმარების საქონლის წარმოება გადიდდა 7,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 6 პროცენტით.

მაგრამ განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეს ო�ეს შესანიშნავი წარმატებანი მოპოვებულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილეს წელს და ნაცისმის „ოშმარისაგან გერმანიის განთავისუფლების 25 წლისთავზე. ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა რეალური საქმეებით უპასუხეს, რომ მათ შეგნებული აქვთ თავიანთი კლასობრივი მოვალეობა და ღირსების საქმედ მიაჩნიათ შეასრულონ იგი. ამაყობენ რა მიღწეულით, ისინი ამავე დროს განიცდიან სიხარულს და იმისათვის მადლიერების ვრძნობას, რომ ჩვენი მეგობრები ლენინის ქვეყნიდან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებიდან, როგორც ყოველთვის, ჩვენს მხარდამხარ მდგომიოდნენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 21-ე წელს კიდევ უფრო განმტკიცდა მისი პრესტიჟი მსოფლიოს ასპარეზზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხი განიცადა სოციალისტური გერმანიის მტრების ცდებმა — მოეხდინათ რესპუბლიკის იზოლირება საერთაშორისო სარბიელზე პოლიტიკური შანტაჟის „ჯუბირის“ საშუალებით. ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ელჩების დონეზე დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 27 სახელმწიფოსთან. და განა სიმპტომატური არ არის ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკოსებმა ბოლოს და ბოლოს ისწავლეს შეუფერებლად წარმოთქვან სიტყვები — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“, სულ ცოტა ხნის წინათ კი ისინი ისე აჩვენებდნენ თავს, რომ საერთოდ ვერ ამჩნევდნენ ჩვენი სახელმწიფოს არსებობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევათა თავისებური მაჩვენებელია აგრეთვე ჩვენი სპორტსმენების წარმატებანი, რომლებსაც ისინი სულ უფრო ხშირად აღწევენ საერთაშორისო შეჯიბრებებში, და ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პატივისცემა ჩვენი სახელმწიფო ალმისა.

სურათებზე: მარცხნივ — ბერლინი, სასტუმრო „ბეროლინა“, კონოთეატრი „ინტერნაციონალი“ და რესტორანი „მოსკოვი“ კარლ-მარქს-ალეეზე. მარჯვნივ — მაგდებურგის ერნსტ ტელმანის სახელობის მძიმე მანქანათსაშენებელო კომბინატში ავტომატური მართვისა და საზომი ტექნიკის შესწავლის სკამი ახალგაზრდა კადრების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შექმნილია სპეციალური კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. სურათზე — გამომთვლელ მანქანასთან.

ფოტო ცბ-ახალი ამგების საინფორმაციო და ადნ-საკდისისა.

ჩვენი იაპონელი და იტალიელი სტუმრები

შეხვედრა საქართველოსთან

რომ ვიმეგობროთ, უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. ეს აზრი ლეიტმოტივად გასდევს ყველა შეხვედრას „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციასთან, რომელიც მეორე დღეა სტუმრად იმყოფება თბილისში. დელეგაციას მეთაურობს იაპონიის პარლამენტის წევრი ტაკეე ბუნი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ქალაქ კავაგუტის საზოგადოების თავმჯდომარე ჭირუჩი მიიაოკა გიიტი, თეატრალური ექიმი ხეტა სუეორო, ფირმა „ბერიოზკის“ პრეზიდენტი სიმიძუ კეიძო, იამაგუტის პრეფექტურის უნივერსიტეტის მასწავლებელი, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ქალაქ იამაგუტის საზოგადოების გამგეობის წევრი ხიგუტი ტორანტორო.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა მეგობრული საუბარი დელეგაციასთან. საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს, გააცნო მათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისა და თბილისის ფლის წინათ შექმნილი „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების თბილისის განყოფილების მრავალფეროვანი საქმიანობა.

დელეგაციის მეთაურმა ტაკეე ბუნმა აღნიშნა, რომ იაპონელი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირის ცხოვრებისადმი. ეს ინტერესი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა „ექსპო-70“ გამოფენის მუშაობის დღეებში.

ტაკეე ბუნმა თავისი პირველი შთაბეჭდილებანი გაუზიარა დამსწრეთ.

დელეგაციის მეთაურმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას მიუძღვნა ვ. ი. ლენინის ბარელიეფი, რომელიც ქალაქ კავაგუტში ბრინჯაოში ჩამოსხეს დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

საუბარს დასხვრნენ „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი ნ. იაშვილი და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ტატიშვილი.

ნ ოქტომბერს დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს გ. ჯიბლაძეს. (საქდისი).

ლარგაზობა პროფსაბჭოში

თბილისში ამყოფება ბოლონიის პროვინციის (იტალია) შრომის პალატის დელეგაცია, რომელსაც პალატის მდივანი დიანა სპი მეთაურობს. 6 ოქტომბერს დელეგაცია მიიღეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში.

პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ იტალიის პროფკავშირთა წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს პროფკავშირთა საქმიანობა, მათი როლი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, პროფესიული კავშირების ზრუნვა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები. (საქდისი).

ამონდოლეთი

მეგობრობის ერთთვიური

ულან-ბატორი, 6 ოქტომბერი. (საკდისი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში დაწყო მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული ყოველწლიური ერთთვიური. ერთთვიურის პროგრამაშია კომუნისტურ მშენებლობაში სსრ კავშირის მიღწევათა შესწავლა და პროპაგანდა, საბჭოთა ადამიანების მდიდარი გამოცდილების დაუფლების ღონისძიებანი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სახელიმო სხდომა ჯამიათა ოტერისა და ბალეგრის სახელმწიფო თეატრში. მონღოლეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, თქვა ამ სხდომაზე მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ ვამბალდორჟმა, დიდი ლენინის ანდერძის შესრულების შეკფილ მაგალითია. ჩვენმა ხალხმა, ალნიშნა ორატორმა, რომელიც საბჭოეთის ყოველმხრივ დახმარებას ეყრდნობა, რამდენიმე ათწლეულში ანალოგ ანალოგი ეკონომიკა ააშენა, ეროვნული ეკონომიკა ააშენა, ეროვნული ეკონომიკა ააშენა, ეროვნული

კომუნისტი
სპორტი

საერთაშორისო ტრადიცია

მიმდინარე ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ მოუგია მეტოქის მინდორზე. ეს „ტრადიცია“ ორე გუშინდელმა შეხვედრამ დაარღვია. იმ ფეხბურთელთან, თბილისელებმა რომ აჩვენეს, მატჩის მოგება მართლაც არ შეიძლებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღევანდელი „სპარტაკი“ შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისაგან.

ათასობით ტელემაყურებელმა ნახა ყოფილი ერანელი მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ნახა და თვალნათლივ დარწმუნდა, რომ გუნდს არ გააჩნია ბრძოლისუნარიანობა, სპორტული ენერგია, მონდომება, თამაშის გაგრძელებული გეგმა.

მეცამეტე წუთზე სრულიად არასახიფათო მდგომარეობა გოლით დამთავრდა. გოლის ავტორი ლეონიძე მთელი მატჩის მანძილზე უფრო თავდამსხმელი იყო, ვიდრე მეტოქეების „დარაჯი“. 25-ე წუთზე კუტიავაძემ გაქცევა ბურთი, მაგრამ თბილისელმა მცველებმა, ამაგე წუთს ოსიანინს სამეკალეში მისცეს. პირისპირ დარჩენილიყო სტეფანიასთან — 2:1. ეს ანგარიში ბოლომდე არ შეცვლილა. მატჩი „სპარტაკმა“ მოიგო.

გუნდების შემადგენლობაში იყვნენ:

„სპარტაკი“ — ბაუეა, ლოგოფეტი, ივანოვი, აბრამოვი, ლოგინოვი, კისელოვი, პაპაევი, ბუდგაკოვი (კალინოვი), ხუსაინოვი, ოსიანინი, სილაგაძე,

„დინამო“ — სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხუციკავა, ბინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი (მაჩაიძე), კუტიავაძე, შეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ჭარეშაძე).

ჭუთაისელებმა გაიმარჯვეს

ჭუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები სახეფათო ზონაში იმყოფებიან. როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ტორპედოელები უკანასკნელ მატჩებს მაღალ დონეზე ატარებენ.

გუშინ ავტოქარხნელებმა მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს. მათ კიევში დაამარცხეს ადგილობრივი „დინამო“ — 2:1. ყველა გოლი პირველ ტაიმში იქნა გატანილი. ჯერ ერქომაიშვილმა გახსნა ანგარიში, რომელიც პუზაჩმა გაქვითა. 41-ე წუთზე კვლავ ერქომაიშვილმა ისახელა თავი.

□

ბოგბურთის კორტეგზე

ჟაზახეთის დედაქალაქში გრძელდება სსრ კავშირის პირადი პირველობა ჩოგბურთში. ესტონელმა თ. ლეიუსმა დაამარცხა თავისი თანამემამულე სეპა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა მოუგო ტარპიშევს.

ქალთა თანრიგში თბილისელმა ა. ივანოვამ სლია ალმაატელ მ. კროშინას (10:8,6:4), კარპოვამ (ალმა-ატა) კი — მოსკოველ ისლანოვას.

გათამაშების ცხრილი

„ბ“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცხა	26	16	4	6	40-16	36
„დინამო“ (მ.)	26	15	6	5	41-18	36
„სპარტაკი“ (მ.)	27	11	12	4	41-22	34
„ზარია“ (ვ.)	27	10	12	5	25-20	32
„დინამო“ (თბ.)	26	11	7	8	34-24	29
„დინამო“ (კ.)	28	12	5	11	30-26	29
„დინამო“ (მნ.)	27	8	9	9	30-25	27
სკა (როსტ.)	26	7	13	6	23-23	27
„ტორპედო“ (მ.)	26	9	9	8	26-28	27
„ნეფტჩი“ (ბ.)	26	8	10	8	22-18	26
„არარატი“ (ერ.)	26	9	7	10	28-26	25
„ზენიტი“ (ლ.)	27	8	7	12	26-36	23
„პუბტაკორი“ (ტ.)	28	6	11	11	20-41	23
„ჩერნომორეცი“ (ო.)	27	7	8	12	22-28	22
„ტორპედო“ (ქ.)	29	6	10	13	22-34	22
„ბუბტაორი“ (დ.)	26	7	7	12	27-46	21
„სპარტაკი“ (ო.)	26	4	7	15	22-38	15

ახლა ფინალში

სსრ კავშირის თასს ჭიდრაკში ორი პრეტენდენტიდან შერჩა. ესენი არიან მაია ჩანიკუ (ტალინი) და ტატიანა ლემაჩკო (მოსკოვი). ამ ორმა მოჭიდრაკემ თასის გათამაშებაში უკვე მატჩი მოიგო.

ნახევარფინალში ტალინელმა საერთაშორისო ოსტატმა დაამარცხა ოდესელი პირველთანრიგოსანი ნ. გორდონი — 2,5:1,5, ხოლო ოსტატმა ტ. ლემაჩკომ — ხაერრასშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა — 3,5:0,5.

ფინალური ციკლი 8 ოქტომბერს დაიწყება. რანიკუ-ლემაჩკო ოთხ პარტიას ითამაშებენ. მესამე-მეოთხე ადგილისათვის იბრძოლებენ გორდონი და მედიანიკოვა.

წყალბურთელთა ტურნირი

ალმა-ატისა და ბაკოს საცურაო აუზებში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის პირველი ნახევარი. ჩვენი ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ კვლავ ამლოს არის ოქროს მედლებთან — 26 ქულა აქვს. მეორე ადგილზე 23 ქულით არიან მოსკოველი ლოკომოტივები, მესამეზე — 19 ქულით. — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები.

დასკვნითი შეხვედრები გაიმართება ოქტომბრის მეორე ნახევარში მოსკოვში. თბილისის „დინამოელები, რომლებიც ყოველდღიურ ტონს აძლევდნენ საბჭოთა წყალბურთს, დღეისათვის 10 ქულით მხოლოდ მე-7 ადგილზე არიან.

რეკორდები

სოჩში მიმდინარეობს საერთაშორისო ასპარეზობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ლენინგრადელ ლიახოვმა. დისკოს ტყორცნაში ალეკსეევმა აჩვენა 62 მეტრი 4 სანტიმეტრი. მან ათი სანტიმეტრით გაუმჯობესა თავისივე მიღწევა, რომელიც ორი კვირის წინ აჩვენა მინსკში.

ბრესანონ. კვლავ ახალი საკავშირო რეკორდით ალინიშნა ასპარეზობის მესამე დღე ველოსრბოლთა საკავშირო თასზე. ერეკვნის ველოტრეკზე ეს უკვე რიგით მეთხუთე რეკორდია. მოსკოველმა ველოსრბოლთა ა. პოლეტაევმა 1000 მეტრზე გააუმჯობესა ტუალეტი ა. ავაკიანის რეკორდი და აჩვენა 1.02,59.

სსრ კავშირის გარდამავალი თასი ტრეკზე ველოსრბოლაში მეორედ მოიპოვეს უკრაინელებმა.

ლ. ტაბატაძე



გარდაიცვალა რესტავრაციის ოსტატი, ბოლოს ... ტაბატაძე.

ნი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1928 წლიდან ლევინ ბარამის-ძე ტაბატაძე.

დ. ტაბატაძე დაიბადა 1901 წელს ორჯონიკიძის (ხარაგაული) რაიონის სოფელ ვანში. ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1917 წელს მუშაობა დაიწყო სადგურ მარელისში ტელეგრაფისტად. აქედან მოკიდებული ორმოც წელზე მეტი იმუშავა ტრანსპორტზე, განსვლთ გზა რკინიგზის ტრანსპორტის რეგიონი მუშაკიდან მის ერთ-ერთ ხელმძღვანელამდე.

1935 წელს დ. ტაბატაძემ წარმატებით დაამთავრა ამიერკავკასიის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტთან არსებული ერთ-ერთი ფაკულტეტი. 1937 წელს დ. ტაბატაძე დანიშნეს რკინიგზის ნაშურის განყოფილების უფროსად, ხოლო 1938 წელს ყადაიყვანეს სამტრედიის განყოფილების უფროსად.

დ. ტაბატაძე 1942 წელს სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოძრაობის სამსახურს, ხოლო 1943 წლიდან 1952 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ. 1952 წლიდან პენსიაზე გასვლამდე — 1957 წლამდე, იგი იყო გზის უფროსის მოადგილე მოძრაობის უსაფრთხოების დარგში.

დიდი სამამული ომის პერიოდში დ. ტაბატაძე იყო საკავშირო გზათა სამინისტროს რწმუნებულად ამიერკავკასიის რკინიგზაზე. მას მინიჭებული ჰქონდა მესამე რანგის გენერალ-დირექტორის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორი, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

დ. ტაბატაძე არჩეული იყო საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აგრეთვე რამდენჯერმე იყო არჩეული პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად და ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

ენერგიული, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის დ. ტაბატაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

7 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — გერმანული მხატვრული ფილმი „ბავშვლობა, რომელიც დავიწყებას არ მიეცემა“, 12.50 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი, მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — სატელევიზიო ფილმი „ფუნჯით ნათქვამი“, 18.35 — გადაცემა ბავშვებისათვის ციკლიდან „გამოჩენილი კომპოზიტორები“ — მელიტონ ბალაკირევი, 19.15 — გადაცემა „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 19.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჭოლგა“, 20.00 — „ტექნიკის სამყაროში“, 20.20 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი: „ამხანაგი ბერლინი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 21 წლისთავის გამო), 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ არის დამნაშავე?“, 23.00 — მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

8 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტალინგრადის ბრძოლის ფურცლები“ (მესამე სერია), 11.45 — „ტექნიკის სამყაროში“ (გამეორებით), 12.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ არის დამნაშავე?“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი „როგორ ქალაქი იბადება“, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩამოღვიძება“, 19.35 — „საბჭოთა საქართველო-50“. „დიადი წლების ქრონიკა“ — 1923 წელი, 19.55 — გადაცემა „ბეთჰოვენი და რომენ როლანი“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — გადაცემა — „ჩიპთურის თეატრი ასი წლისაა“, 22.00 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. „მულტანფრამა“.

◆

თეატრები

7 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პიკის ქალი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვალერი ბიბაევ; გრიბოედოვის სახელობის — სოფლის შოადოდმდე; ანსამბლი ... ...